MES 4 22 0001525057

30/11/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, სხდომის მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ- ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა
მანანა სამხარაძე- დაწესებულების დირექტორი

ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანა
გიორგი მომცელიძე-დაწესებულების წარმომადგენელი

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესი
თეა დარსალია-დაწესებულების წარმომადგენელი

ა(ა)იპ-ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზია
გიული კობლიაშვილი-დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ- ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა
ნანა მონიავა
ვერა ყურულაშვილი

ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანა
ლიანა კობესაშვილი
თამარ მიდელაშვილი

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესი
ქეთევან ბოტკოველი
ცირა ნიკოლაშვილი

ა(ა)იპ-ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზია
ნანა მონიავა
მარიამ ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, ხოლო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეასრულა ეკატერინე კვირიკაშვილმა. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანა-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ-ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ვერა ყურულაშვილმა.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 12 ოქტომბერს მოსწავლეთა ადგილების 820-მდე გაზრდის მიზნით. ნანა მონიავამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი 14 საკლასო ოთახი. მისი თქმით, სკოლა ფლობდა 460 მერხსა და სკამს. ექსპერტმა განმარტა, რომ გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობდა ორ ცვლაში, სკოლაში არსებული მერხებისა და სკამების რაოდენობა შეესაბამებოდა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეების ზღვრულ რაოდენობას.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა ადაპტირებული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. მისი თქმით, სკოლაში შესვლა და გადაადგილება უზრუნველყოფილი იყო პანდუსითა და ლიფტით, ასევე, შენობის სამივე სართულზე, სპორტულ დარბაზთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მოწყობილი იყო ადაპტირებული სველი წერტილები, როგორც გოგონებისათვის, ასევე, ვაჟებისათვის.

ექსპერტმა ნანა მონიავამ, ისაუბრა დაწესებულებაში არსებულ კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და განაცხადა, რომ ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის მესამე სართულზე. დაწესებულება ფლობდა 20 კომპიუტერს, 19 პორტატულ კომპიუტერს, 18 პროექტორსა და 2 პრინტერს. ექსპერტის თქმით, ყველა საკლასო ოთახში არსებულ კარადაში განთავსებული იყო პროექტორები. ნანა მონიავამ, აქვე, აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზების გამარტივების მიზნით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია არსებული პროექტორების საკლასო ოთახებში ისე დამონტაჟების შესახებ, რომელიც გაადვილებდა მასწავლებლების მხრიდან ყოველი საჭიროების დროს პროექტორის მარტივად ჩართვასა და გამოყენებას.

ნანა მონიავამ განაცხადა, რომ ექიმის კაბინეტი მდებარეობდა შენობის პირველ სართულზე და მოწყობილი იყო შესაბამისი ინვენტარით, კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტმა განმარტა, რომ 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის, 800 და მეტ მოსწავლეზე სავალდებულო იყო 2 ექიმის არსებობა. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას 820 მოსწავლემდე, ზემოთ ხსენებული ბრძანების შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან, გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას მოეძიებინა შესაბამისი კადრი ექიმის პოზიციაზე.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა აქტიური სოციალური ქსელი, Facebook გვერდზე, თუმცა, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას შეექმნა, ვებ-გვერდი, რომელიც შეასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ექსპერტმა, აქვე, დასძინა, რომ სკოლის შენობის ყველა სართულზე განთავსებული იყო საევაკუაციო გეგმა.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ასწავლიდა 41 მასწავლებელი, რომელთა შორის იყო: 1 მოწვეული, 1 მაძიებელი, 30 უფროსი, 1 წამყვანი და 9 უსტატუსო მასწავლებელი. ექსპერტმა, განაცხადა, რომ 9 უსტატუსო მასწავლებლიდან 8 იყო უკრაინული სექტორის მასწავლებელი. ნანა მონიავამ, აქვე განმარტა, რომ უკრაინული სექტორის მასწავლებლები დასაქმებული იყვნენ სკოლის მიერ უკრაინულ სექტორზე მასწავლებლის შერჩევის წესის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანება N174/ნ მუხლი 1. პუნქტი 2^1-ის საფუძველზე. მისი თქმით, წინამდებარე წესი არ ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებსაც სურდათ სკოლაში უკრაინულ სექტორზე დასაქმება. აღნიშნული პირები შეირჩეოდნენ სკოლის მიერ დადგენილი წესის საფუძველზე. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნულ წესში გაწერილი იყო კონკურსის გამოცხადებასთან, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, წესი განსაზღვრავდა კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. ნანა მონიავამ დასძინა, რომ უკრაინულ სექტორზე მასწავლებლის შერჩევის წესი სკოლას შემუშავებული ჰქონდა განსხვავებულად და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 820 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. თბილისის N220 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 820-ით განსაზღვრის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, მოსწავლეთა მაღალი მომართვიანობის გამო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხოდმის ჩატარების დღეს, 2022 წლის 15 ნოემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქ. თბილისის N220 საჯარო სკოლას (ს/კ.: 205383306) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 820 მოსწავლით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 15 ნოემბერი.

2. ა(ა)იპ- ორ ავნერ და ჰანა-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და თამარ მიდელაშვილმა.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 12 და 13 ოქტომბერს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და განმარტა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კერძო და საჯარო სკოლებთან. გაფორმებული მემორანდუმების მიზანს წარმოადგენდა: საგანმანათლებლო მიღწევებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების - კონფერენციების, სემინარებისა და პროექტების ჩატარება, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პროფესიული ზრდის შესაძლებლობებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა,

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში პარტნიორობა, მესამე პირთან ურთიერთობაში პარტნიორი მხარეების ინტერესების ლობირება. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ოლიმპიადებში. აღნიშნული, მან დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენდა ერთიან დოკუმენტს და მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ყველა აუცილებელ კომპონენტს. მისი თქმით, დაწესებულების მისია შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ორიენტირებული იყო მოსწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის აღზრდაზე.

ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ III მოდელის საათობრივ ბადეს, რაც დაწესებულებას, კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით, რომელთა შორისაც იყო: წიგნიერება, უნარები, ნორჩ ინოვატორთა კლუბი, მაგიდის ჩოგბურთი. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო წელი სკოლაში განსხვავებული ვადით დაიწყო, კერძოდ, 2022 წლის 12 სექტემბერს. მან, აქვე, დაადასტურა, რომ განსხვავებულ ვადაში სასწავლო წლის დაწყება დაწესებულებას კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას.

ლიანა კობესაშვილმა, ასევე, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსზე, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო კეთილმოწყობილი, სრულად ადაპტირებული და აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. მისი თქმით, სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებული იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. დაწესებულების მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტის თქმით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, კათედრების დებულება, რომელშიც განსაზღვრული იყო კათედრის ფუნქციები და დაკონკრეტებული იყო პროფესიული განვითარების მიმართულებით კათედრის საქმიანობა. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფერო, რაც ხელს უწყობდა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა სახის მემორანდუმები ჰქონდა სკოლას გაფორმებული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და, ასევე, განემარტათ, რას ნიშნავდა სკოლის სახელწოდება.

დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, გიორგი მომცელიძემ, განმარტა, რომ თანამშრომლობითი მემორანდუმები გაფორმებული იყო, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სკოლებთან. მისი თქმით, მემორანდუმის ფარგლებში სკოლა განსაზღვრავდა სამ ძირითად პრიორიტეტს: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერება და განვითარება, საუნივერსიტეტო სწავლების მიმართულება, რომელიც დაეხმარებოდა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში. დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით, სკოლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ,,ორ ავნერ“ თავისი მნიშვნელობით უკავშირდებოდა საგანმანათლებლო სისტემას, რადგან ის ივრითულ ენაზე ნიშნავდა, მზესა და განათლებას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რამ განაპირობა სასკოლო სასწავლო წლის დაწყება განსხვავებული ვადით 12 სექტემბერს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, გიორგი მომცელიძემ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სასწავლო წლის დაწყება ემთხვეოდა ტრადიციულ დღესასწაულს - ებრაულ ახალ წელს, რის გამოც სასწავლო წელი განსხვავებული თარიღით დაიწყო. სკოლის წარმომადგენელმა, აქვე, დაადასტურა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსხვავებულ ვადებში სასწავლო წლის დაწყება შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 140 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ორ ავნერ და ჰანა-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ორ ავნერ და ჰანას (ს/კ: 205195457) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ცირა ნიკოლაშვილმა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში და განთავსებული იყო იპოლიტოვ ივანოვის ქ. N10-ში მდებარე 2 შენობაში. დაწესებულების პირველი შენობა, რომელიც მოიცავდა 2171 კვ.მ-ს იყო სკოლის მფლობელობაში. ექსპერტის თქმით, იჯარის ხელშეკრულებით, რეესტრის ამონაწერითა და აზომვითი ნახაზების თანახმად, სკოლა ფლობდა, ასევე, შენობა N2-ში არსებულ 410 კვ.მ. ფართს.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მისია გულისხმობდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო გარემოში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკურ - ლოგიკური აზროვნების განმავითარებელი, თანამედროვე სასწავლო პროგრამებითა და ინოვაციური მიდგომებით, აღეზარდა უცხო ენების, ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების მატარებელი, უახლეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პიროვნება.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისა და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, დაწესებულებაში მიმდინარეობდა საკლუბო მუშაობა. ექსპერტის თქმით, საკლუბო აქტივობები ხელს უწყობდა მოსწავლეების ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიც იყო: ორატორობა, არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, პრეზენტაციის წარდგენის უნარი, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, პროგრამირების საფუძვლები, ციფრული წიგნიერებისა და სამოქალაქო კომპეტენციები. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი სახის კლუბები: დებატთა კლუბი, ლიტერატურული კლუბი, ეკოკლუბი „მწვანე სივრცე“, პროგრამირების, მათემატიკის, ახალგაზრდა მკვლევართა კლუბები და სხვ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში. მათგან ექსპერტმა გამოყო და აღნიშნა ახალგაზრდა მათემატიკოსთა საერთაშორისო ტურნირი -ITYM, რომლის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში იყო სერვანტესის გიმნაზია აია ჯესს-ი 2017 წლიდან. ექსპერტის თქმით, დაწესებულება ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური ტურნირის ჩატარებასა და მონაწილეთა შერჩევას საერთაშორისო ტურნირისათვის. ქეთევან ბოტკოველმა, ასევე, ისაუბრა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის შესახებ და განაცხადა, რომ - მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ აღნიშნულ კონკურსში, გამარჯვებული გუნდები მოიპოვებდნენ ფულად პრიზებს და მიემგზავრებოდნენ აშშ-ში, NASA-ში. ექსპერტმა, აქვე, დასძინა, რომ 2022 წელს სკოლის მოსწავლეთა მე-5-ე გუნდი იმყოფებოდა NASA-ში. ქეთევან ბოტკოველმა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებს შორის, ასევე, დაასახელა მკვლევარ-გამომგონებლეთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, საერთაშორისო საგანმანათლებლო რესურსების ქსელი, DIAMOND CHALLENGE - სოციალური მეწარმეობის პროექტი, EUCYS ევროპის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, იუნესკოს კონფერენცია, ISTF ტალანტების ფორუმი და სხვ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულება, მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო სავალდებულო მომსახურებას, რომელთა შორისაც იყო: ჭადრაკი, რუსული ენა, STEM, SCIENCE, კომპიუტერული ტექნოლოგიები, კრიტიკული აზროვნება. ექსპერტმა, განმარტა, რომ I-IV კლასებში, ძირითადი სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სავალდებულო იყო „გახანგრძლივებული“ სწავლება. ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულება ყურადღებას აქცევდა, რომ მოსწავლეებს სათანადო დასვენებისა და კვების საშუალება ჰქონოდათ. შესაბამისად, I-IV კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ორჯერადი კვებითა და დასვენებით.

ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში შემუშავებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები 2022-2023 სასწავლო წლისათვის. დოკუმენტი აერთიანებდა სკოლაში დასაქმებული პირების, პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობისა და ანგარიშგების შესახებ ინფორმაციას. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობდა: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენასა და ა.შ. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობდა დირექტორი და ხარისხის მართვის მენეჯერი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ასევე, ისაუბრა, დაწესებულების მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებულ შენობებში განთავსებული იყო 45 საკლასო ოთახი, მათ შორის 6 განაყოფებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებდა, ასევე, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ბიბლიოთეკის და ისტ -ის ოთახი, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 სპორტული დარბაზი, 1 საკონფერენციო ოთახი, 1 ბუფეტი, 1 სასადილო დარბაზი, 1 რესურს ოთახი, 1 ბუღალტრის კაბინეტი, 1 ხარისხის მენეჯერის კაბინეტი. ექსპერტის თქმით, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით.

საბჭოს სხდომას 15:44 საათზე შეუერთდა საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებულ საბუნებისმეტყველო კაბინეტში განთავსებული იყო ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც დასტურდებოდა, რომ სკოლამ ვირტუალური ლაბორატორიის სრული კომპლექტი, ფიზიკისა და IT ტექნოლოგიების მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგი და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების გზამკვლევი, შეიძინა შპს „მეცნიერების, განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიისგან“.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე და მასში დაცული იყო 3590 წიგნადი ერთეული, მათ შორის, ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ასევე, არაფორმალური განათლების მისაღებად განკუთვნილი საკითხავი და შემეცნებითი ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები. წიგნადი ფონდი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ექსპერტმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკის ოთახში განთავსებული იყო 21 კომპიუტერი. ქეთევან ბოტკოველის თქმით, გამომდინარე იქედან, რომ ამავე სივრცეში ტარდებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გაკვეთილები, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკისა და ისტ-ის კაბინეტის გამიჯვნასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შემოშავებული ჰქონდა პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და დაწესებულების დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, დეპარტამენტის, ბიბლიოთეკისა და ერთიანი საქმისწარმოების დებულება. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მისი თქმით, აღნიშნული გეგმები, ეფუძნებოდა SWOT ანალიზს.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების თანამშრომლებთან გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისი მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა, საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 750 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750 - ით განსაზღვრის საკითხი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 25 ნოემბრის N135 გადაწყვეტილებით შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2022 წლის 15 ნოემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს (ს/კ: 208217375) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 15 ნოემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და მარიამ ხუციშვილმა.
ექსპერტ, ნანა მონიავას განმარტებით, დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29 და 30 სექტემბერს, ქ. თბილისში. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა ორი შენობა სასწავლო მიზნებისთვის, რომელიც საქართველოს საპატრიარქოსგან გადაცემული იყო თხოვების ხელშეკრულებით 2035 წლამდე. ნანა მონიავას განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. მისი თქმით, საათობრივი ბადის მიხედვით, სკოლა პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს ფაკულტატური საათის ფორმით სთავაზობდა რელიგიის ისტორიას, რომელშიც არ ფასდებოდნენ მოსწავლეები არც განმსაზღვრელი და არც განმავითარებელი შეფასებით.
ნანა მონიავამ ისაუბრა სკოლაში მეორე უცხო ენასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მეორე უცხოურ ენად ყველა კლასში მე-5-დან მე-12-ე კლასის ჩათვლით არჩეული იყო რუსული ენა. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლამ წარმოადგინა მეხუთე კლასის მშობელთა კრების ოქმი, სადაც დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა 4 უცხოურ ენას (გერმანული, ფრანგული, რუსული, ესპანური), თუმცა ყველა მშობლის არჩევანი გაკეთდა რუსულ ენაზე. ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა არჩევითი საგნის შესახებ და განაცხადა, რომ 2021-2022 სასწავლო წელს მე-11-ე კლასელებისათვის სკოლას შერჩეული ჰქონდა საგანი „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“. ამავე კლასის მოსწავლეებმა 2020-2021 სასწავლო წელს გაიარეს იგივე არჩევითი საგანი. ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით, სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ მიეღო ნებართვა მე-12-ე კლასში დამატებით ორმოდულიანი არჩევითი საგნის „გარემო და მდგრადი განვითარება“ სწავლებისთვის, რითაც სკოლა საფეხურის ფარგლებში უზრუნველყოფდა არჩევითი საგნების სწავლების პრინციპებს.

ექსპერტ, ნანა მონიავას თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. წარმოდგენილ მექანიზმში არ იკითხებოდა ზუსტი და თანმიმდევრული ინსტრუქციები იმისა, თუ როგორ მიმდინარეობდა აღნიშნული პროცესი, სრულად არ იყო უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა სკოლის პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები და ანალიზი, რომელიც ემსახურებოდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და გაუმჯობესებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მიერ გაიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. ექსპერტთა მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები გაწერილიყო უფრო მკაფიოდ, შესაბამისი ეტაპების მითითებით. ასევე, მნიშვნელოვანი იქნებოდა არა მხოლოდ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის გამოკითხვა, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოების, ხოლო კითხვარები ყოფილიყო უფრო კონკრეტული, მიზნობრივი და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინა და შესაბამისი ცვლილებები გადმოაგზავნა ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა 12 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებითა და სკამებით. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა მცირე ზომის სპორტული ოთახი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სპორტული აქტივობებისთვის, ასევე, იყენებდა სკოლის ეზოს, რაც დადასტურდა საავტორიზაციო ვიზიტის დროსაც. ნანა მონიავამ განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში დაცული იყო 814 ერთეული წიგნი, მათ შორის გრიფმინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოები.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ სკოლის ეზოში განთავსებული იყო ეკლესია. მისი თქმით, ექსპერტებმა გასცეს სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, უსაფრთხოების მექანიზმების გამარტივების მიზნით, ექსპერტების აზრით, სასურველი იქნებოდა მომხდარიყო სკოლისა და ეკლესიის ეზოს გამიჯვნა. აღნიშნული სკოლის მხრიდან იქნა გათვალსიწინებული და გაიმიჯნა ეკლესია და სკოლა ღობით ვიზიტის დასრულების შემდეგ, რისი დამადასტურებელი ფოტო-მასალაც წარმოადგინა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის საშუალებით. ექსპერტმა, ნანა მონიავამ აგრეთვე, ისაუბრა სკოლის ადაპტირებულ სველ წერტილთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ შენობის პირველ სართულზე იყო განთავსებული შშმ პირთათვის სველი წერტილი.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს შეიმუშავა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადააგზავნა შესათანხმებლად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წესის პროექტი.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ისაუბრა დაწესებულებაში არსებულ ვიდეო კამერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ოთხი შესასვლელი, მათგან ერთის გარდა ყველა კონტროლდებოდა კამერებით. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული და დაამატა ვიდეო კამერა. ნანა მონიავამ აქვე დაამატა, რომ სკოლა ვიზიტის პერიოდში აქტიურად ცდილობდა ექსპერტთა რეკომენდაციების გამოსწორებას.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ განმარტა, რომ სკოლას ჯამში ჰყავდა 20 მასწავლებელი. მათგან 18 იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 1 წამყვანი, ხოლო 1 მოწვეული სტატუსის მქონე. ექსპერტმა, მან აღნიშნა, რომ მოსწავლეები აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებასა და პოზიციას, რაც გამოიკვეთა ინტერვიუირების დროს, თუმცა სკოლაში არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა გაერთიანება. ექსპერტთა აზრით, მოსწავლეთა გაერთიანება დაეხმარებოდა მოსწავლეებს სამოქალაქო ღირებულებების გააზრებასა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, თუ რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ექსპერტმა, ნანა მონიავამ განმარტა, რომ მათი მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, მეტად ჰქონოდა დაწესებულებას კომუნიკაცია ადგილობრივ რესურსცენტრთან და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რადგან, ექსპერტის თქმით, დოკუმენტაციების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლა არ თანამშრომლობდა სხვა დაწესებულებებთან და ნაკლებად ჰქონდა წვდომა უახლეს ინფორმაციებზე. სკოლის დირექტორმა, გიული კობლიშვილმა დაამატა, რომ საპატრიარქოს სკოლებისთვის შექმნილი იყო გაერთიანება, რომლის წევრიც იყო აღნიშნული დაწესებულება და გეგმავდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიურ თანამშრომლობას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რას გეგმავდა სკოლა მოსწავლეთა გაერთიანებების შესაქმნელად. სკოლის დირექტორმა, გიული კობლიშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას უკვე შემუშავებული ჰქონდა დებულება მოსწავლეთა გაერთიანებისთვის და გეგმავდა არჩევნების ჩატარებას. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის თქმით, სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა ჭადრაკის კლუბი, ნორჩ მედიკოსთა კლუბი, სადაც მე-6 დან მე-12-ე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს შეეძლოთ გაერთიანება. ასევე, დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო წიგნის კლუბი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ყოველ პარასკევს იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ მათთვის სასურველ თემატიკას. გიული კობლიშვილის განმარტებით, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გარემოს დაცვის საკითხებს შეეხებოდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა - გიმნაზიას (ს/კ: 400020696) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:17 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კვირიკაშვილი ეკატერინე